ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1400694

ნომერი: AR1230988

თარიღი : 21.06.2014

გაცემის თარიღი : 07.08.2014

გაცნობის თარიღი : 07.08.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭოველიძე (ყოფ. ბელინსკი), N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ კურცხალია პ/ნ 01017013507
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 3 ბ. 16

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 989
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 5.07.2013

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მერაბ კურცხალია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: NBC group

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404966293

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ი.ბ.ა. "პალადი ვერა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 104500862
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ენვერ მუჯირი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01013004576

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 470.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 351.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 3609.05
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 2526.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 257.75
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 250.4
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 254.9
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 3.1
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 316.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 13023.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 12014.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1009.2
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 32.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 29.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 351.0 კ1=0.7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3344.30 კ2=7.1
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 47.0 კ3=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/2199
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 8.08.2011

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/2199
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 8.08.2011

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 8 აპრილს გაფორმებული N01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისში, ჭოველიძის ქ. (ყოფ. ბელინსკი), N 8–ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი გადაგზავნილ იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში და განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექციის" მიერ, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც საკითხს მიეცა უარყოფითი შეფასება: "კორექტირებული პროექტით მოთხოვნილი პარამეტრები არ შეესაბამება ქალაქის ამ უბნისთვის დადგენილ ქალაქმშენებლობით ნორმებს, ამ მასშტაბის ნაგებობა ქუჩისთვის შეუსაბამოა. დამატებითი სართულიანობის გაზრდით დეგრადირდება ქუჩის იერსახე." (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 17.07.2014 წლის Nდ/13/12/29 წერილი). სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. მერაბ კურცხალიას უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ

თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქ. მერაბ კურცხალიას ქ. თბილისში, ჭოველიძის ქ. (ყოფ. ბელინსკი), N 8–ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის წარმოდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.